



ასე

მე

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/2160

ქ. თბილისი

05 07 2019წ.

დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2019 წლის 15 მაისის (ოქმი №39) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დაინიშნოს დოქტორანტ ალექსანდრე გორგოშიძის (პირადი №01013007073), რომელიც 2016 წლის 12 ოქტომბრის №3444/05 ბრძანებით ჩაირიცხა სტუ-ის დოქტორანტურაში და რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა - საინჟინრო ფიზიკა, სადისერტაციო თემა „ნაწილაკების ინდუქციური დამუხტვის ფიზიკური მოდელის დამუშავება“.

სადისერტაციო კოლეგია:

1. პროფ. გიგინეიშვილი აკაკი, თავმჯდომარე, სტუ;
2. პროფ. ჩაჩხიანი ზურაბ, ხელმძღვანელი, სტუ;
3. პროფ. ჩხარტიშვილი ლევან, რეცენზენტი, სტუ;
4. ფმმდ დარსაველიძე გიორგი, გარე რეცენზენტი, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;
5. პროფ. გოდერძიშვილი გელა, სტუ;
6. ასოც. პროფ. მინაშვილი თამაზ, სტუ;
7. ასოც. პროფ. კალანდამე იამზე, სტუ;
8. აკად დოქტ. ყურაშვილი ია, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, მოწვეული წევრი;
9. ფმმდ ნარდაია იური, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, გამოწვეული წევრი;

2. დისერტაციის დაცვა შედგეს 2019 წლის 9 ივლისს, 14⁰⁰ საათზე, სტუ-ის IV კორპუსის 401 ოთახში.